## ვინ უნდა აიცრას წითელას საწინააღმდეგო ვაქცინით ?

✓ ნებისმიერი აუცრელი და/ან არასრულად აცრილი პირი, განსაკუთრებით თუ მიეკუთვნება 20-40 წლის ასაკობრივ ჯგუფს;

✓ წითელათი ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირები;

## როდის არ შეიძლება აცრის ჩატარება ?

**აცრა არ ტარდება:**

- პირებში, რომელთაც ჰქონდათ მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის კომპონენტზე;
- იმუნოდეფიციტის მქონე პირებში;
- ორსულებში (აცრა უნდა ჩატარდეს 3 თვით ადრე ორსულობამდე);
- პირებში, რომელთაც აქვთ არაგანკურნებული აქტიური ტუბერკულოზი;

## რამდენად უსაფრთხოა წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია ?

✓ ვაქცინა უსაფრთხოა და გამოიყენება მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში.

✓ საქართველოში სახელმწიფოს მიერ ხდება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული მაღალი ხარისხის ვაქცინების შეძენა.

**შესაძლებელია თუ არა წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება ლაქტაციის პერიოდში?** - დიახ, შესაძლებელია.

**რა ღირს ვაქცინაცია?** - ვაქცინაციას უფასოდ უზრუნველყოფს სახელმწიფო.

## სად შეგიძლიათ ჩაიტაროთ აცრა ?

ვაქცინაცია შესაძლებელია პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში;
დამატებით დაწესებულებები, სადაც შეგიძლიათ ჩაიტაროთ ვაქცინაცია:
https://www.moh.gov.ge/ka/news/4252/

**ვაქცინაცია წითელასაგან თავის დაცვის ერთადერთი საშუალებაა!**

**შეიტანე შენი წვლილი საკუთარი თავისა და გარშემომყოფთა დასაცავად!**

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH